92 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი—გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.

92 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №23 (7146) 2 დეკემბერი, 2025 წელი





წმინდა გიორგი ფარავდეს სრულიად საქართველოს!

გიორგობა, 23 ნოემბერი
უნაგირა—სადღესასწაულო მღვდელმსახურება
გოგნი—სამშვიდობო პარაკლისი

გიორგობას, 23 ნოემბერს, ტყიბულისა და თერჯოლის ეპარქიის ყველა მოქმედ ტაძარში აღესრულა გიორგობის სადღესასწაულო ღვთისმსახურება. ტყიბულისა და თერჯოლის მიტროპოლიტმა, მეუფე გიორგიმ, გიორგობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი სადღესასწაულო ღვთისმსახურება აღასრულა უნაგირას მთის წმ. გიორგის სახელობის მამათა მონასტერში. მეუფე გიორგიმ ქადაგებით მიმართა შეკრებილ მრევლს, დალოცა სრულოიად საქართველო და უსურვა გაერთიანება და გაძლიერება.

იმავე დღესვე, მეუფემ გიორგობის დღესასწაული ასევე მიულოცა გოგნის კარუგდებლის წმ. გიორგის სახელობის მამათა მონასტერში შეკრებილი მრევლს, დალოცა ისინი და სამშვიდობო პარაკლისი გადაიხადა მშენებარე ტაძარში.

სამხატვრო სკოლის ნიჭიერი თაობის საშემოდგომო გამოფენა

ულამაზესია წელიწადის ყველა დრო საქართველოში, ყველაფერს თავისი ხიბლი აქვს, თავისი ფერთა გამა...

არაფერს ვამბობ გაზაფხულსა და შემოდგომაზე, რომლებიც მომაჯადოებელი სილამაზით გამოირჩევა, თუმცა ულამაზესია შემოდგომა და ზამთარიც.

გამორჩეული ხიბლით გაჯადოებს სამყარო თუნდაც ფოთოლცვენისას, გაყვითლებულ და მეწამულ ფერთა სიმრავლით, საშემოდგომოდ მოწეული ბაღჩა-ბაღეულისა და სხვადასხვა მრავალფეროვანი ხილის შემოგებებით...

ყოველივე ამას მომეტებულად ახალგაზრდები გრძნობენ, დიახ, ულამაზესია მათი თვალით დანახული სამყარო, მითუმეტეს მაშინ, როცა ისინი ხელოვნების ულამაზესი დარგის—ხატვის დაუფლებას აკადემიურ დონეზე ცდილობენ და ამ სფეროში პირველ ნაბიჯებს დგამენ.

საგანმანათლებლო სამხატვრო სკოლის მოსწავლეებს, რომლებიც ნამდვილად სხვებისაგან გამორჩეული თვალით აღიქვამენ სილამაზეს, სხვა კრიტერიუმები აქვთ მშვენიერების აღქმისა, რომელიც შემდეგ მათ ნამუშევრებში აისახება.

ასე იყო ამ რამდენიმე დღის წინ მოსწავლეთა საშემოდგომო გამოფენაზე.

☞8

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

2025 წლის 25 ნოემბერს გაიმართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძე უძღვებოდა.

სხდომაზე, სხვა მიმდინარე საკითხებთან ერთად, განიხილეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პროგრამული ბიუჯეტის დადგენილების პროექტი და 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი, რომლებიც მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელმა ავთანდილ ურიადმყოფელმა წარუდგინა დეპუტატებს.

სხვა მიმდინარე საკითხები კი წარმოადგინეს საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეებმა **ზურაბ ჩხიკვაძემ** და **ბიძინა ბუცხრიკიძემ.**

მომავალი წლის ბიუჯეტი, როგორც ეს სხდომაზე გაცხადდა, პროექტით გათვლილია 23,3 მილიონ ლარზე, როგორც შემოსავლების ისე ხარჯვით ნაწილში, რაც 2,6 მლნ. ლარით აღემატება 2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელს. დღეისათვის არსებული რესურსებით ამ მოცულობის შესრულება არც თუ იოლი ტვირთია, მაგრამ დიდი იმედია, რომ მას შემდეგ, რაც პარლამენტი ქვეყნის 2026 წლის ბიუჯეტს დაამტკიცებს, ფინანსთა სამინისტროსთან მერიის ხელმძღვანელობით მუშაობის შემდეგ ყველაფერი კარგად დაბალანსდება და უკვე იანვრის თვეშივე ჩვენ საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვანი მატება გვექნება, რომელთა ხარჯვის საშუალება მოგვეცემა ყველა მიმართულებით, განსაკუთრებით კი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

აღნიშნულის გათვალისწინებით დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს წინადადებას მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის მერიისათვის დასაბრუნებლად, მასში შესაბამისი ცვლილებების შესატანად და ხელახალი განხილვისათვის მოსამზადებლად.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მოადგილეები: ზვიად ბაზაძე და მირზა ქოჩიაშვილი, მერიის სამსახურების ხელმძღვანელები.

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

☞2, 3

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

მყარი ნარჩენების მართვას განსაკუთრებული ყურადღება

იმერეთი-რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში ახალი, რეგიონული არასახიფათო ნარჩენების ობიექტების მშენებლობისთვის ტერიტორიების შერჩევის საკითხზე ქუთაისში, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემის დანერგვის მიზნით, ქვეყანაში არსებული ნაგავსაყრელები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ახალი, რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტებით და ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების ქსელით უნდა ჩანაცვლდეს.

იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულის განცხადებით, პრობლემის გადასაჭრელად ყველა დაინტერესებულ მხარესთან შეხვედრები აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

„მთავარი ყურადღება გამახვილდა ახალი, რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობისთვის შესაფერისი ტერიტორიის შერჩევაზე. ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას ყველა დაინტერესებულ მხარესთან ერთად, რათა უმოკლეს ვადაში იქნას ჩვენი რეგიონის მოსახლეობისთვის შეთავაზებული ნარჩენების მართვის უსაფრთხო, თანამედროვე სისტემა“,— განაცხადა ლევან ზალკალიანმა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის თქმით, ხელისუფლების მიზანია მოსახლეობისთვის ჯანსაღი და ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნა.

„ჩვენი მიზანია, მოსახლეობისთვის ჯანსაღი, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნა, რისთვისაც არაერთი მიმართულებით ვმუშაობთ. მყარი ნარჩენების მართვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. დღის წესრიგში დგას არასახიფათო ნარჩენების განთავსების ახალი ობიექტის მშენებლობის აუცილებლობა. მუნიციპალიტეტებთან, შესაბამის სამსახურებთან აქტიური კომუნიკაციით და კოორდინირებული მუშაობით, უმოკლეს ვადებში უნდა გავუმკლავდეთ ყველა იმ გამოწვევას, რაც დღეის მდგომარეობით არსებობს—ქვეყნის მასშტაბით, ძველი ნაგავსაყრელები საერთაშორისო სტანდარტების ნარჩენების მართვის ობიექტებით უნდა ჩავანაცვლოთ, რაც მიწისქვეშა წყლების, ჰაერისა და ნიადაგის დაცვას დაბინძურებისგან დაიცავს“, - აღნიშნა სოლომონ პავლიაშვილმა.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ არსებული ნაგავსაყრელების მდგომარეობა, მრავალჯერადი რეაბილიტაციის მიუხედავად, საერთაშორისო სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს, ზოგიერთ შემთხვევაში კი დასახლებულ ზონებთან ნაგავსაყრელების სიახლოვე მოსახლეობისთვის დისკომფორტის შემქმნელია.

როგორც „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ დირექტორმა მიხეილ გოგოლიძემ განაცხადა, ახალი პროექტები ევროპულ სტანდარტებს დააკმაყოფილებს.

ახალი, რეგიონული, არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტების გახსნის შემდეგ, ეტაპობრივად დაიხურება არსებული ნაგავსაყრელები.

შეხვედრას იმერეთის სახელმწიფო რწმუნებული ლევან ზალკალიანი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ პავლიაშვილი, რეგიონული განვითარების მინისტრის მოადგილე ლევან ზაუტაშვილი, „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ დირექტორი მიხეილ გოგოლიძე. რეგიონის მუნიციპალიტეტების მერებთან ერთად შეხვედრას ესწრებოდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე.

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“ გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

ალისუბანი—საგზაო ინფრასტრუქტურა

19 ნოემბერს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძესთან ერთად სოფელ ალისუბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პროცესს გაეცნო.

სოფელში შიდა საავტომობილო გზის 13 000 კვადრატულ მეტრზე არმირებული ბეტონის საფარი ეწყობა.

ინფრასტრუქტურული პროექტი რეგიონული განვითარების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი საერთო ღირებულება 767 291 ლარს შეადგენს.

„სასოფლო გზების რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია. შესაბამისად, პროექტის დათქმულ ვადებში და ხარისხიანად განხორციელება ძალიან მნიშვნელოვანია,“—განაცხადა მანუჩარ რობაქიძემ.

ხელშეწყობა ახალგაზრდებს

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე ადგილობრივი ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით მოწყობილ საინფორმაციო შეხვედრას დაესწრო.

შეხვედრას, რომელიც სსიპ ,,დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს“ იმერეთის რეგიონული სერვისცენტრის წარმომადგენლობის მიერ გაიმართა, თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდები ესწრებოდნენ. სერვისცენტრის წარმომადგენლებმა ადგილობრივებს, კარიერული განვითარებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაცნობის მიზნით, მასტერკლასები ჩაუტარეს. მასტერკლასის ფარგლებში, ახალგაზრდებმა მიიღეს პრაქტიკული რჩევები ეფექტური რეზიუმეს, სამოტივაციო წერილის და დამსაქმებელთან გასაუბრების სხვდასხვა ტექნიკების შესახებ. აღსანიშნავია, რომ დასაქმების მსურველ ახალგაზრდებს სამომავლოდ რეკომენდაციებს მუნიციპალიტეტის მერია გაუწევს.

საინფორმაციო შეხვედრა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გაიმართა.

დაჯილდოვდნენ სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში გამარჯვებულები

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძესთან ერთად, სასკოლო სპორტული ოლიმპიადის მუნიციპალურ ტურებში გამარჯვებული გუნდები თასებით და მედლებით დააჯილდოვა.

მინი ფეხბურთის ფინალურ შეხვედრებში ერთმანეთს ზედა საზანოს საჯარო სკოლის და კერძო სკოლა ,,მზეკაბანის'' ვაჟთა და სოფელ თუზის და ჩხარის №2 საჯარო სკოლების გოგონათა გუნდები შეეჯიბრნენ. ასპარეზობის შედეგად ვაჟებში გამარჯვება სკოლა ,,მზეკაბანის“ გუნდმა, ხოლო გოგონებში ჩხარის №2 სკოლის გუნდმა მოიპოვა.

სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში თერჯოლის მუნიციპალიტეტის სკოლებიდან 29 გუნდი მონაწილეობდა. მუნიციპალურ ტურებში გამარჯვებულები კი უკვე მარტის თვიდან რეგიონულ ტურებში ჩაერთვებიან.

სპორტული ღონისძიება მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა.

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

თუ ინოვაციური იდეა გაქვთ

მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე ქ. თერჯოლაში სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) ორგანიზებით მოწყობილ ვორქშოპს დაესწრო.

„იდეათონი იმერეთში“ ღონისძიების ფარგლებში, რომლის მიზანია რეგიონებში ინოვაციური მეწარმეობის განვითარება და სტარტაპ ეკოსისტემის გაძლიერება, სააგენტოს წარმომადგენლებმა ადგილობრივ მეწარმეებს და ახალგაზრდებს სამუშაო შეხვედრა ჩაუტარეს.

თერჯოლაში იდეების გენერირების ორდღიანი სამუშაო შეხვედრა ადგილობრივ მეწარმეებსა და ახალგაზრდებს დაეხმარება ბიზნეს იდეების გენერირებასა და მათი განვითარებისთვის საჭირო ცოდნის მიღებაში.

ორდღიანი ვორქშოპის დასრულებისა და იდეათონზე დარეგისტრირების შემდეგ, მეწარმეებს და ახალგაზრდებს ინოვაციური სტარტაპის შესაქმნელად შესაძლებლობა ეძლევათ მოიპოვონ და გაიარონ ორკვირიანი პრე-აქსელერაცია და მონაწილეობა მიიღონ 25 000-ლარიან საგრანტო კონკურსში. იდეათონის გამორჩეული იდეების ავტორები კონკურსის გარეშე მოიპოვებენ ადგილს იმერეთის პრე-აქსელერაციის პროგრამაში.

ორდღიანი ვორქშოპი თერჯოლაში მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით გაიმართა.

ჯილდოები საუკეთესო იმერულ ღვინოებს

გაიმართა „იმერეთის ღვინის კონკურსის 2025“ გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონია, სადაც წარმოდგენილი იყვნენ 2025 წლის საუკეთესო იმერული ღვინოები და მათი მწარმოებელი კომპანიები.

DMO იმერეთისა და იმერული ღვინის ასოციაციის ორგანიზებით, კონკურსი უკვე მესამე წელია ტარდება. მისი მიზანი და მთავარი იდეაა ღვინის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა; იმერეთის, როგორც უძველესი მეღვინეობის რეგიონის, პოპულარიზაცია; ის, რომ იმერეთს ჰქონდეს ღირსეული ადგილი მსოფლიო ღვინის რუკაზე; „იმერული ღვინო“ ასოცირდებოდეს რეგიონის უძველეს ტრადიციებთან, ავთენტურობასთან და ხარისხთან.

კონკურსი აძლიერებს ამ პროცესს, ქმნის ჯანსაღ კონკურენციას და ხელს უწყობს ღვინის ტურიზმის განვითარების

მდგრადობას.

ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტების მიხედვით, საუკეთესო იმერული ღვინოები შეარჩია საერთაშორისო ექსპერტებისგან შემდგარმა ჟიურიმ. შეფასებულ იქნა ორმოცამდე მეღვინეობის ასზე მეტი ნიმუში. იმერულ კონკურსში თერჯოლელმა მეღვინეებმაც გაიმარჯვეს. მათ ეს გამარჯვება პირადად მიულოცა მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, რომელიც ამ ცერემონიალს ესწრებოდა.

ახალი სპორტული მოედნები

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძესთან ერთად, მუნიციპალიტეტში მიმდინარე სპორტული მინი მოედნების მოწყობა-რეაბილიტაციის დასკვნით სამუშაოებს გაეცნო.

2025 წელს, ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის მიზნით, ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნის საფუძველზე, ახალი სპორტული მინი მოედანი ექვს ადმინისტრაციულ ერთეულში ეწყობა (ჭოგნარი, ნახშირღელე, ქვ. სიმონეთი, ეწერი, ძევრი, რუფოთი).

თანამედროვე სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია სოფლის მხარდამჭერი პროგრამიდან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი საერთო ღირებულება 345 000 ლარია.

საინტერესო დღე საინტერესო სტუმრით

DMO იმერეთის ორგანიზებით თერჯოლის მუნიციპალიტეტში, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში, იმერეთის ტურისტული სექტორის წარმომადგენლებისთვის გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე „მე-19 საუკუნე და ქართული კულტურა“.

ლექციას უძღვებოდა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური უნივერსიტეტის პროფესორი, ნიკა წულუკიძე.

ლექციის ფარგლებში მსმენელებმა ძევრის გამოქვაბულები მოინახულეს, აგრეთვე, ცნობილი ქართველი მწერლის დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმსა და საზანოს ღვინის მარანს ესტუმრნენ.

იმერეთში მოღვაწე გიდების კვალიფიკაციისა და პროფესიული უნარების გაუმჯობესების, ასევე რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, DMO იმერეთი პერიოდულად აორგანიზებს თემატურ საჯარო ლექციებს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში.

საბიუჯეტო წლის ფინიში, რომ წარმატებული იყოს...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას, რომელიც გასულ თვეში საკრებულოს ახალი თავმჯდომარის, სოსო ჩაფიჩაძის ხელმძღვანელობით გაიმართა მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მის მოადგილეებთან, და საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელთან და მერიის სხვა თანამშრომლებთან ერთად ესწრებოდა.

საკრებულოს სხდომაზე განხილული საკითხებიდან განსაკუთრებულად გამოვყოფთ მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის 9 თვის შედეგებს, რომელიც საკრებულოს სხდომას მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელმა ავთანდილ ურიადმყოფელმა წარუდგინა.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ბიუჯეტის 9 თვის შესრულების შედეგები იმის კარგ რეალობას გვპირდება, რომ საბიუჯეტო წლის ფინიში წარმატებული იქნება.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2024 წლის 4 დეკემბერს (N18 დადგენილება) და განისაზღვრა 20650.0 ათასი ლარით (საკუთარი შემოსავლები 20350.0 ათასი ლარი და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან 300.0 ათასი ლარი).

2025 წლის 1 იანვრისათვის ნაშთი შეადგენდა 228.0 ათას ლარს. მათ შორის: საკუთარი (ადგილობრივი) შემოსავლები 119.0 ათას ლარს და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გრანტების სახით მიღებული შემოსავალი 109.0 ათას ლარს.

2025 წლის სამი კვარტლის განმავლობაში ბიუჯეტის ცვლილება 11-ჯერ განხორციელდა (მერის ბრძანებით 4-ჯერ და საკრებულოს მიერ 7-ჯერ). ბიუჯეტის მთლიანი საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 35970.3 ათასი ლარით (საკუთარი (ადგილობრივი) შემოსავლები 25107.7 ათასი ლარი და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან 10862.6 ათასი ლარი).

2025 წლის ბიუჯეტის სამი კვარტლის ფაქტიური შემოსულობები 27896.3 ათას ლარს, ხოლო ფაქტიური გადასახდელები 26149.9 ათას ლარს შეადგენს. 2025 წლის პირველი ოქტომბრისათვის ნაშთი დარჩა 1746.4 ათასი ლარი. მათ შორის: საკუთარი (ადგილობრივი) შემოსავლები 1559.6 ათასი ლარი და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან 186.8 ათასი ლარი.

ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულებაის მდგომარეობა ასეთია: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის სამი კვარტლის ფაქტიურმა შემოსავლებმა 27896.3 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (26149.9 ათასი ლარი) 106,7%-ია.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სამი კვარტლის ფაქტიურ შემოსავლებში (27896.3 ათასი ლარი) საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი 14853.1 ათას ლარს, ანუ 53,2 %-ს შეადგენს. არასაგადასახადო (სხვა) შემოსავლების ხვედრითი წილი -1847.3 ათას ლარს, ანუ 6,6 პროცენტს. სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გრანტების სახით მიღებული შემოსავლები -10484.1 ათას ლარს, ანუ 37,6 %-ს. არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავლები შეადგენს 483.8 ათას ლარს, ანუ 1,7 %-ს.

ბიუჯეტის შემოსავლების ანალიზიდან ჩანს, რომ 2025 წლის სამი კვარტლის ფაქტიურ შემოსულობებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში აკუმულირებული შემოსავლებიდან მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი 14853.1 ათასი ლარი (53,2%) საგადასახადო შემოსავლებს უჭირავს. ქონების გადასახადის სახით ჩარიცხულია 2858.2 ათასი ლარი. დამატებული ღირებულების გადასახადის სახით ჩარიცხულია 11994.9 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხული თანხებიდან, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მიზნობრივი ტრანსფერის სახით ჩარიცხულია 1169.7 ათასი ლარი. ფინანსური დახმარება ჩარიცხულია 1950.0 ათასი ლარი. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ჩარიცხულია 5204.5 ათასი ლარი. სოფლის მხარდაჭერის პროგრამებისათვის ჩარიცხულია 223.3 ათასი ლარი. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით 1407.1 ათასი ლარი. საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის ჩარიცხულია 489.3 ათასი ლარი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის სამი კვარტლის გადასახდელების გეგმა შეადგენდა 26149.9 ათას ლარს. ფაქტიურად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი დაფინანსებულია 26149.9 ათასი ლარით, ანუ გეგმა შესრულებულია 100,0%-ით, რაც 1,6 %-ით აღემატება 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ამჯერად, ჩვენს საინფორმაციო მასალაში ყურადღებას გავამახვილებთ ორ ყველაზე მეტად მნიშვნელოვან საბიუჯეტო პრიორიტეტულ მიმართულებაზე—ინფრასტრუქტურულ განვითარებასა და სოციალურ პროგრამებზე.

ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულებით, თერჯოლის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა: სოფ. ზედა სიმონეთში აბჟანდაძეების უბანთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 362.7 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 362.7 ათასი ლარი. ქ. თერჯოლაში პუშკინის ქუჩაზე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 64.1 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 64.1 ათასი ლარი. დ. კლდიაშვილის სახლ-მუზეუმის ასფალტოვანი გზიდან სოფ. სათემოს ეკლესია -აბულაძეების უბნამდე არსებული გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 92.4 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 92.4 ათასი ლარი. სოფ. რუფოთში, ჭანკვეტაძეების უბანში მდებარე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 233.7 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 233.7 ათასი ლარი. სოფ. ახალთერჯოლაში ცენტრალური საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 131.3 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 131.1 ათასი ლარი. სოფ. თუზში ჩაფიჩაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 240.5 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 240.5 ათასი ლარი. სოფ. ჩხარში ამირანაშვილების მუზეუმთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდა 224.4 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 224.4 ათასი ლარი. ქვ. ალისუბანი - მაჩიტაურის დამაკავშირებელი 3 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 220.5 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 220.5 ათასი ლარი. სოფ. სიქთარვაში მემანიშვილების უბნის გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 35.5 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 35.5 ათასი ლარი. სოფ. სიქთარვაში ყაზაიშვილების უბნის გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 80.8 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 80.8 ათასი ლარი. სოფ. ნახშირღელეში ხორხის უბანთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 235.5 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 235.5 ათასი ლარი. სოფ. კვახჭირში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 72.6 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 72.6 ათასი ლარი. თერჯოლის მუნიციპალიტეტში სოფ. გოდოგანში საავტომობილო გზის და საყრდენი კედლების მოწყობა/რეაბილიტაცია დაფინანსდება 231.6 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 231.6 ათასი ლარი. სოფ. საზანოში ჩიხორი შიმშილაქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 240.5 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 240.5 ათასი ლარი. სოფ. ჩხარი ზედა ალისუბნის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 250.0 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 250.0 ათასი ლარი. სოფ. ბარდუბანში ავტობანიდან ვერულაშვილები-ბოჭორიშვილები-გრძელიძეების უბნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 198.5 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 198.5 ათასი ლარი. სოფ.ზედა საზანოში გიორგაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 271.7 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 271.7 ათასი ლარი. სოფ. თუზში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 247.0 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 247.0 ათასი ლარი. ქ. თერჯოლაში მაცაბერიძის ქუჩაზე არსებული გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 123.6 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 123.6 ათასი ლარი. სოფ. ღვანკითი-ტელეფას დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 250.0 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 250.0 ათასი ლარი. თერჯოლა-ახალთერჯოლის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდა 250.0 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 250.0 ათასი ლარი. თერჯოლის მუნიციპალიტეტში სოფ. გოდოგანში საავტომობილო გზის და საყრდენი კედლების მოწყობა/რეაბილიტაცია 3 ეტაპი დაფინანსდება 213.5 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 213.5 ათასი ლარი. სოფ. სიქთარვაში ცხადაძეების უბნის გზის რეაბილიტაციის სამუშაოები დაფინანსდება 94.9 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 94.9 ათასი ლარი. სოფ. ეწერში ახალ უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 200.0 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 200.0 ათასი ლარი. სოფ. ეწერში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 200.0 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 200.0 ათასი ლარი. გოდოგანი ბროლისქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 75.4 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 75.7 ათასი ლარი. ალისუბანი აბისინიის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 75.3 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 75.3 ათასი ლარი. სოფ. გოგნში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 75.3 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 75.3 ათასი ლარი. სოფ. ქვედა სიმონეთში ზედა ნიკოლაძეების უბნისა და ბოჭორიშვილების უბნის გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 255.0 ათასი ლარით. ღვანკითში სოფ. ზოვრეთთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 200.0 ათასი ლარით.

„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 იანვრის N186 განკარგულებით, თერჯოლის მუნიციპალიტეტს გამოეყო დაფინანსება 2 157.0 ათასი ლარი, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 1 503.0 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში გეგმაზომიერი სამუშაოები ჩატარდა წყლის სისტემის რეაბილიტაციისა და მათი ფუნქციონირების პერიოდში წარმოქმნილი გაუმართაობების აღმოსაფხვრელად.

კვლავ აქტიური ყურადღების ქვეშ იყო გარე განათების განვითარება და ექსპლოატაცია. მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა, მუნიციპალიტეტში საკუთრებაში არსებული შენობებისა და ასევე საცხოვრებელი ბინების შეკეთება, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო და სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული პროექტების განხორციელება.

როგორც პროგრამული ბიუჯეტის მარტო ამ ერთი პროგრამული მიმართულებით (ინფრასტრუქტურული განვითარება) გაწეული სამუშაოები და 9 თვის შესაბამისი ხარჯების დაფინანსება გვიჩვენებს, გვაქვს მყარი საფუძვლები, რომ სრულად დავეთანხმოთ მერიის საფინანსო სამსახურს, მის ხელმძღვანელს ბატონ ავთანდილ ურიადმყოფელს იმაში, რომ ისინი მერიის სხვა სამსახურებთან, მერიის ხელმძღვანელობასთან ერთად ყველაფერს გააკეთებენ, რათა წლის ბოლოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმატებით შესრულდეს, როგორც შემოსავლების, ისე ხარჯვით ნაწილში.

რაც შეეხება საბიუჯეტო მეორე პრიორიტეტულ მიმართულებას—სოციალურ პროგრამებს, ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობა, რომელიც მუნიციპალიტეტის მმართველობის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშაა და მიღწეული შედეგებიც საკმაოდ მნიშვნელოვანია, მათ თაობაზე 2025 წლის საბოლოო მონაცემების გათვალისწინებით მოგითხრობთ.

„ვისწავლოთ, რათა ვასწავლოთ“

„თქვენ ისურვეთ და პროექტებს არ მოგაკლებთო“— უთხრა ქალბატონმა ქეთევან შეყრილაძემ საჯარო და კერძო სკოლების დირექტორებს და პედაგოგებს ერთ-ერთი პროექტის ბოლო ღონისძიებაზე და აასრულა დანაპირები. ამჟამად რესურსცენტრის ინიციატივით სკოლებში მიმდინარეობს ღია გაკვეთილები დევიზით „ვისწავლოთ, რათა ვასწავლოთ“. ღია გაკვეთილებმა დიდი ინტერესი გამოიწვია პედაგოგთა შორის, სულ უფრო მეტი პედაგოგი გამოთქვამს სურვილს ჩაატაროს ღია გაკვეთილი, დაესწროს კოლეგების გაკვეთილებს, გააზიაროს თავისი და გაიზიაროს სხვისი გამოცდილება.

ღია გაკვეთილის მიზანი

ღია გაკვეთილების ორგანიზების მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს პედაგოგთა პროფესიულ განვითარებას, პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებასა და სწავლების პროცესის გამდიდრებას თანამედროვე მიდგომებით.

კერძოდ,

—პედაგოგებს შორის პროფესიული დიალოგის გაღრმავებას—გამოცდილების, ინოვაციური მეთოდების და წარმატებული პრაქტიკების ურთიერთგაზიარების გზით.

—სწავლისა და სწავლების ხარისხის ამაღლებას—რეალური, პრაქტიკული მაგალითების წარმოდგენით და მათი განხილვით კოლეგების წრეში.

—საგანმანათლებლო თანამშრომლობის კულტურის გაძლიერებას—სკოლებს შორის კავშირის შექმნითა და ცოდნის საერთო სივრცის ჩამოყალიბებით.

—პედაგოგთა შემოქმედებითი პოტენციალის წახალისებას—ინოვაციური იდეებისა და მიდგომების წარდგენის საშუალებით.

—თანამედროვე საგანმანათლებლო ტენდეციების პოპულარიზაციას—ღია, ინტერაქტიული და ინსპირაციული ფორმატების დანერგვით.

—მასწავლებლის პროფესიული თვითგამოხატვის ხელშეწყობას—რაც აძლიერებს პედაგოგის მოტივაციასა და თვითშეფასების უნარს.

მიწის ყივილი

ინტეგრირებული გაკვეთილი (ალისუბნის №2 საჯარო სკოლა, დირექტორი ლალი მაკარიძე) ქართული ენა და ლიტერატურა-ისტორია, მე-9 კლასში (პედაგოგები: ელისო რობაქიძე, ინგა კობახიძე) ჩატარდა თემაზე „მიწის ყივილი“.

მასწავლებლებმა პროექტორით მოსწავლეებს აჩვენეს ნაწყვეტი ფილმიდან „ექვთიმე ღვთისკაცი“, რომელსაც მოჰყვა მოსწავლეების მინი სპექტაკლი მიხეილ ჯავახიშვილის „მიწის ყივილის“ მიხედვით და სიუჟეტი „მიტოვებული და დაცარიელებული სოფლები“. მოსწავლეებს მიეცათ დავალება—ნანახს მოუძებნონ საერთო სახელი მოკლე ან თუნდაც ერთი წინადადებით. მოსწავლეები ორ ჯგუფად გაიყვნენ: პირველ ჯგუფს უნდა ჩამოეწერა მიზეზები, რის გამოც უწევდათ ქვეყნის დატოვება ქართველებს წარსულ წლებში, ემსჯელათ და მოეყვანათ არგუმენტები თავიანთი მოსაზრებების განსამტკიცებლად. მეორე ჯგუფს კი მიეცა დავალება-დღევანდელობის გათვალისწინებით, თავიანთი ცოდნის, თუნდაც გამოცდილებაზე დაყრდნობით იმსჯელონ მიზეზებზე, რის გამოც უწევთ დღეს ქართველებს ქვეყნიდან წასვლა. ამ ჯგუფსაც უნდა მოეყვანა მაგალითები საკუთარი მოსაზრების გასამტკიცებლად.

მოსწავლეებმა (ჯგუფებმა) კარგად გაართვეს თავი დავალებას და მოიყვანეს მაგალითები, მასწავლებლებმა შეაჯამეს და შეაფასეს ჯგუფების მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციები.

გაიმართა დისკუსია თემაზე: „დრო, საზღვრები და მიწის მონატრება“—გაუფერულდება თუ გაძლიერდება.

მოსწავლეებმა იმსჯელეს პრობლემის ირგვლივ, ისაუბრეს „მიწის ყივილზე“, წარსულის, აწმყოსა და მომავლის გადმოსახედიდან. მოსწავლეებს დაევალათ აგრეთვე—მიეწერათ წერილი ისტორიული პირის, ლიტერატურული გმირისათვის, ოჯახისათვის ემიგრანტის პოზიციიდან და შვილებისათვის, რომელთა დედები ემიგრაციაში არიან. შემდეგ უჩვენეს ნაწყვეტი ფილმიდან „ფესვები“, მოსწავლეები გამოვიდნენ ეროვნულ ხესთან, თქვეს ცნობილი ემიგრანტების სიტყვები და შეაბეს სურვილები და სიტყვები ხეს.

საგაკვეთილო პროცესში სრულად ჩაებნენ მოსწავლეები, ცდილობდნენ მოეძიათ და გამოეყენებინათ ინფორმაცია, თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან, ყველამ გაიგო დავალება, კარგადაც შეასრულეს, პრეზენტაციები იყო დამაჯერებელი და საინტერესო, ჯგუფებმა დაიცვეს დროის ლიმიტი.

პიროვნების აღწერა

თერჯოლის №1 საჯარო სკოლის (დირექტორი ელისო მურადაშვილი) მესამე კლასში ჩატარებული ინგლისური ენის გაკვეთილის (მასწავლებელი თამარ კერელესიძე).

მიზანი—უცხო ტექსტის წაკითხვა-გაანალიზება, ლექსიკური მასალის გამრავალფეროვნება სრულად შეესაბამებოდა ე.ს.გ. მოთხოვნებს (მოსწავლეებს უნდა აღეწერათ პიროვნება). მიზნის მისაღწევად მასწავლებელმა ჩამოწერა უცხო სიტყვები, რომელიც მოცემულია მათ მიერ წასაკითხ უცხო ტექსტში. ამასთან მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ხმამაღლა წარმოთქვამს ამ სიტყვებს, რაც მოსწავლეებს ეხმარება გაიაქტიურონ სმენითი უნარი, კითხვითი უნარის გასაუმჯობესებლად. მოისმინეს აუდიო ჩანაწერი, განაწილდა ტექსტი წყვილებში წასაკითხად.

მოსწავლეებმა შეძლეს წაკითხული ტექსტის ხმამაღლა პრეზენტაცია, წყვილებში ტექსტის ხმამაღლა წაკითხვა და თარგმნა. მასწავლებელმა დაფაზე ჩამოწერა წინადადებები და ტექსტის გაგება-გააზრების მიზნით სთხოვა მოსწავლეებს აერჩიათ და შემოეხაზათ სწორი პასუხები, ფურცლებზე ჩამოწერილი აქტივობებისათვის კი მიენიშნებინათ—მოსწონს თუ არ მოსწონს. შემდეგ მოსწავლეებმა პასუხი გასცეს ტექსტიდან გამომდინარე თემატიკაზე შედგენილ კითხვებს. სასწავლო მასალის განსამტკიცებლად მოსწავლეებს მიეცათ საშინაო დავალება, იქვე გააკეთებინა ერთი მაგალითი ნიმუშის სახით. მასწავლებელმა შეაფასა მოსწავლეები, მათი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში და კითხვის უნარები.

მოსწავლეები კითხულობდნენ გამართულად, იცავდნენ ინტონაციას, გაიგეს წაკითხული ტექსტის შინაარსი, გამოიყენეს ახალი სიტყვები, გაკვეთილის პროცესში ჩართული იყო ყველა მოსწავლე და გამოირჩეოდა აქტიურობით, ახერხებდა ცოდნის რეალიზებას.

სკოლა და სასკოლო ნივთები

თერჯოლის №2 საჯარო სკოლაში (დირექტორი ფიქრია დემეტრაშვილი) ღია გაკვეთილი ინგლისურ ენასა და ლიტერატურაში ჩატარდა მე-2ბ კლასში (მასწავლებელი ლალი ამბროლაძე).

გაკვეთილის თემა „სკოლა და სასკოლო ნივთები“ მიზნად ისახავდა სკოლასა და სასკოლო ნივთებთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები გამოეყენებინათ განსახორციელებელ აქტივობებში, საუბრებსა და პრაქტიკულ დავალებებში. მისალმების და საგაკვეთილო თემის გაცნობის შემდეგ ბავშვები ჩაება აქტივობაში—თუ როგორ ესალმებიან ან ემშვიდობებიან ერთმანეთს ბავშვები, ლექსიკური მარაგი გამოიყენეს მისალმება-სიმღერაში „გამარჯობა, როგორ ხარ“.

მასწავლებელმა შემდეგი აქტივობისათვის მოსწავლეებს უჩვენა ვიდეო და მისი ნახვის შემდეგ უპასუხეს კითხვას—თუ რა სასკოლო ნივთები ჩაალაგეს ჩანთაში, რითაც გააააქტიურეს უკვე მიღებული ცოდნა. ამ კითხვაზე პასუხი ინდივიდუალურად გაიცა, ლექსიკური ერთეულების პრაქტიკულ დავალებაში გამოყენების მიზნით, შესრულდა დავალება-შეაერთეს საკლასო ნივთების სურათები შესაბამის სიტყვებთან და მოახდინეს კლასისათვის ნაშრომების გაცნობა. მასწავლებელმა გამოიკითხა თუ რა ფერები იციან ბავშვებმა და შეასრულეს სიმღერა ფერებზე, რითაც აქტივობამ, ფერებთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულების გამოყენება—სიმღერაში,—მიზანს მიაღწია, შემდეგ გაამთლიანეს სასკოლო ნივთებისა და ფერების ლექსიკური მარაგი და მასწავლებლის მიერ ნაჩვენებ სურათებზე დაასახელეს სასკოლო ნივთები და მათი ფერები. საინტერესო იყო სასაუბრო აქტივობა, ბავშვებმა მოიფიქრეს მათი ყველაზე საყვარელი და აუცილებელი 5 სასკოლო ნივთი და გააცნეს ერთმანეთს. რა აუცილებელ ნივთს ჩააწყობდით ჩანთაში—ძირითადად ერთნაირი ნივთი დასახელდა.

მასწავლებელმა შეაფასა მოსწავლეები, ისინი კარგად ფლობდნენ პროგრამულ მასალას, აქტიურობდნენ, იყენებდნენ რესურსებს, რომელიც მრავლად ჰქონდათ. დასასრულს შეასრულეს სიმღერა ანბანზე, კარგად გამოიყენეს სასკოლო ლექსიკური ერთეულები სასაუბრო აქტივობებში, პრაქტიკულ დავალებებში.

მუნიციპალიტეტის სკოლებში ღია გაკვეთილების ჩატარება 2025 წლის 3 ნოემბრიდან დაიწყო და გრძელდება. მათი მიმდინარების შესახებ მასალებს მომავალ ნომრებში შემოგთავაზებთ.

ჟუჟუნა ცხადაძე

სიმღერითა და გალობით განვლილი წლები
ხათუნა სირბილაძე-77

„რაც თავი მახსოვს ვმღერი. ჯერ კიდევ საბავშვო ბაღში, სკოლაში, სხვადასხვა ანსამბლში... ვმღერი დღემდე და ესაა ჩემი ბედნიერება“—ასე იწყებს „თერჯოლასთან“ საუბარს ქალბატონი ხათუნა სირბილაძე, რომელსაც წელს 77 წელი შეუსრულდა...

„ბედნიერებაა, როცა გიხარია და მღერიხარ, მაგრამ ბედნიერებაა ისიც, როცა არ გიხარია და მაინც მღერიხარ... სიმღერა ალამაზებს და აადვილებს სიცოცხლეს, ამხნევებს და მალამოდ ეფინება თუნდაც დიდ გასაჭირსა და მწუხარებაში მყოფ ადამიანს“...

ყოფილა მომენტები ქალბატონის ცხოვრებაში, როცა სხვათა და სხვათა სიტუაციათა და პრობლემათა შემოჯარულს აზრად არ მოსვლია ემღერა. თუმცა ეს თავისთავად მოდიოდა, ტკბილ ჰანგებად გამოსროლილი ბგერები სასიმღერო გუნებაგანწყობას თავად უქმნიდა და ისიც წაიღიღინებდა, წაიმღერებდა და ასე თანდათან ჩნდებოდა ცხოვრებისა და სიმღერის ხალისი და მომავლის იმედი...

ხათუნა ქუთაისში დაიბადა და გაიზარდა. დედა პედაგოგი, მამა კი ღვინის ტექნოლოგი ყავდა. მუსიკა დაბადებიდან უყვარდა, სიმღერის მონაცემები მასში ჯერ დედამ აღმოაჩინა, შემდეგ კი საბავშვო ბაღში ყველა სასიმღერო ნომერს მას აძლევდნენ. ისიც დაუზარებლად მღეროდა...

ქ. ქუთაისის №8 სკოლაში, სადაც სწავლობდა კიდევ უფრო გამოიჩინა თავი, ყველა ღონისძიებისა და კონცერტის ერთ-ერთი აქტიური შემსრულებელი იყო. შემდეგ იყო მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის მუსიკალური სასწავლებელი, სადაც სწავლა გააგრძელა. მღეროდა ქუთაისის პიონერთა სასახლისა და პედაგოგიური ინსტიტუტის ანსამბლებში. ის წლები და თუნდაც შემდეგი წლები, სიხარულს და წარმატებებს ანიჭებდა. მღეროდა ყველა ჟანრში, თუმცა ყველაზე საყვარელი მისთვის ქართული ქალაქური სიმღერები იყო. მუსიკალური თუ სასიმღერო მონაცემები საშუალებას აძლევდა და კონცერტებზე მისი ყველა გამოსვლა იყო წარმატებული.

ქუთათურთა აპლოდისმენტებით განებივრებულს არც ცხოვრების შემდგომ ეტაპზე, თერჯოლაშიც, არ დაკლებია ყურადღება და დაფასება.

ღვანკითელ მომხიბვლელ ჭაბუკზე, მურთაზ ბუსკივაძეზე დაქორწინებამ ხათუნა უკვე თერჯოლის მკვიდრი და ახალი რეალობის თანაზიარი გახადა.

ახლა უკვე რამდენიმე „ფრონტზე“ ერთდროულად უწევდა ბრძოლა და შრომა. სოფლის ოჯახი, მეუღლე, შემდეგ ერთმანეთის მიყოლებით სამი შვილი: ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟი, ამავდროულად სამსახური, არ იყო ქალის სუსტი მხრებისათვის ადვილი სატარებელი ტვირთი, თუმცა ვაჟკაცური შემართების, დაუზარელ, შრომისმოყვარე ახალგაზრდა ქალს ცხოვრებასთან შერკინება ღირსეულად გამოუვიდა და შეიძლება ითქვას, სიძნელეებთან ჭიდილში გაიმარჯვა...

ქალაქში გაზრდილი ტოლს არც სამეზობლოს ქალბატონებს უდებდა ვენახისა თუ ბაღ-ბოსტნის მოვლაში, შვილებსაც საუკეთესოდ ზრდიდა და სამსახურშიც ჩინებულად ართმევდა თავს თავის მოვალეობას. ვენახის შეწამვლიდან დაწყებული სოფლის ყველა საქმე გაითავისა, რაც ნამდვილად არ იყო ადვილი. ამ წლებში, ბუნებრივია, სცენაზე სასიმღერო ნომრებით ვეღარ გამოდიოდა, თუმცა თავისი სპეციალობით ერთხანს ღვანკითის საჯარო სკოლაში მუშაობდა, 18 წელი პიონერთა სახლში იმუშავა, სადაც იყო ორგანიზატორიც და მუსიკის მასწავლებელიც.

იგონებს: პიონერთა სახლის დირექტორთან, ქალბატონ ლამზირა ბარბაქაძესთან მუშაობა არ იყო ადვილი, რადგან მოულოდნელად დაგეგმილი ღონისძიება, რომლის მოსამზადებლად ხშირად მხოლოდ ორი-სამი დღე ჰქონდა, თუმცა ყველაფერს საუკეთესოდ ვასწრებდი, თქმა და საქმე ერთი იყო, ყველაფერი შესანიშნავად გამოგვდიოდა...“

წარმატებული იყო ხათუნას მუსიკის მასწავლებლობა თერჯოლის №2 საბავშვო ბაგა-ბაღში. არაერთი საახალწლო თუ გამოსაშვები ღონისძიება გაუმართავთ კინოთეატრის სცენაზე და გაუოცებია მაყურებელი ცეროდენების საუკეთესო მომზადებას და მხატვრულ ნომრებს.

პარალელურად ხათუნა, მედიცინის მუშაკთა პროფრაიკომის მიწვევით, რაისაავადმყოფოსთან არსებულ მომღერალ ქალთა ანსამბლ „საპოვნელას“ ხელმძღვანელობდა. ანსამბლმა თავისი რეპერტუარითა და საუკეთესო გამოსვლებით მაყურებელთა და რაიონის იმდროინდელი ხელმძღვანელობის ყურადღება მიიქცია, „საპოვნელა“ ხშირად მონაწილეობდა ქვეყნის მასშტაბით გამართულ სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებში. ანსამბლს წარმატებული საქმიანობისათვის რაიონის ხელმძღვანელობამ მადლობის სიგელი გადასცა და პოლონეთის ტურისტული საგზურით დააჯილდოვა.

ხათუნა თერჯოლის წარმატებული და პოპულარული ქალთა ანსამბლ „იამეს“ წევრია მისი შექმნის დღიდან, რომელსაც გულთამზე კუბლაშვილი ხელმძღვანელობს. ანსამბლი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს არა მარტო თერჯოლასა და იმერეთში, არამედ სრულიად საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც. ანსამბლი, რომელიც ჯერ კიდევ წლების წინ ტელეკომპანია რუსთავი 2-ის პროგრამა „ნიჭიერის“ ერთ-ერთი საუკეთესო მონაწილე და ფინალისტი გახდა პოპულარული, შემდეგ კი თურქეთში გამართული საერთაშორისო ფესტივალის გამარჯვებული და „გრანპრის“ მფლობელია. მას შემდეგ ანსამბლმა არაერთი გამარჯვება და წარმატება მიითვალა. „იამეს“ სისტემატურად იწვევენ ტელევიზიები, იწვევენ სხვადასხვა ღონისძიებებში.

სრულიად თერჯოლისათვის საამაყოა ის ფაქტი, რომ „იამე“ საზოგადოებრივი მაუწყებლის პროექტ „ხალხურის“ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სახე გახდა. არაერთ მუნიციპალურ ღონისძიებას ალამაზებს „იამე“ ულამაზესი შესრულებითა და რეპერტუარით და ყოველივე ეს განპირობებულია როგორც ანსამბლის საუკეთესო ლოტბარისა და მომღერლის, ქალბატონ გულთამზე კუბლაშვილის, ისე მისი თითოეული წევრის: ალექსანდრა გურაბანიძის, ლალი ვერულაშვილის, ეთერი ივანაშვილის, ანა დევიძის, ვალია სახელაშვილის და მათ შორის ხათუნა სირბილაძის მონაწილეობით და სასიმღერო მონაცემებით.

„იამემ“ თავისი ხიბლი შესძინა „თერჯოლობა—2025“-ს, ეროვნულ სამოსში გამოწყობილი ქალბატონები ულამაზესი ჰანგებით ხვდებოდნენ მთელი დღის განმავლობაში ღონისძიების სტუმრებსა და დამთვალიერებლებს.

ქალბატონ ხათუნას მგალობელ ქალბატონებთან დარეჯან ღიბრაძესთან და მაცაცო აბაშიძესთან ერთად, „ვარენკობის“ დღესასწაულზე წარმატებული მონაწილეობისათვის დიპლომი და პრიზი აქვს მიღებული და საერთოდ, გალობას მის ცხოვრებაში გარკვეული ადგილი უჭირავს. ეკლესია მისთვის ყველაზე წმიდა ადგილი და სულის ტაძარია, სადაც ყველაზე ბედნიერად გრძნობს თავს. ამიტომაცაა ხშირად ნახავთ მას ღვანკითის ქეთევან წამებულის, დედაღვთისისა და სამების ეკლესიებში, სადაც გარდა იმისა, რომ გალობით საღვთო მსახურებაში თავისი წვლილი შეაქვს, უფალს ავედრებს სამშობლოსა და ოჯახის კეთილდღეობას...

ხათუნას ბედნიერებაა მისი ოჯახი, მეუღლე, სამი შვილი, შვიდი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი. „დიდი ბებია“ დიდი სიყვარულით ლოცავს თითოეულ მათგანს, ლოცავს სრულიად საქართველოს მომავალ თაობას სიყვარულით, სიკეთითა და სიმღერებით გალამაზებულ ცხოვრებას უსურვებს თითოეულს...

დიდხანს ილოცეთ და იმღერეთ ქალბატონო ხათუნა!

მზია ცქიფურიშვილი

თერჯოლელ ტანმოვარჯიშეთა ასპარეზობა და საუკეთესო შედეგები

საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის თენგიზ ბოლქვაძის სახელობის ტურნირზე სპორტულ აკრობატიკაში, რომელიც, ამ რამდენიმე დღის წინ, ქ. ბათუმში გაიმართა თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს თერჯოლელმა სპორტსმენებმა.

ტურნირში მონაწილეობას ღებულობდნენ ქ. თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, წყალტუბოს, ბაღდათის, ყაზბეგის, ერევნისა და თერჯოლის სულ ოთხასამდე სპორტსმენი.

თერჯოლელ სპორტსმენთა შედეგები ნამდვილად თვალსაჩინოა, მათ ასეთი შედეგით დაასრულეს ტურნირი:

პირველ ადგილზე გავიდა გოგონათა სამეული დიდების II თანრიგოსანთა შორის: ბარბარე მარუაშვილის, თეკლა ფანჩულიძის და ქრისტინე ძოწენიძის შემადგენლობით. პირველი ადგილი დაიკავა აგრეთვე გოგონათა ორეულმა დიდების I თანრიგოსანთა შორის ნინი სახელაშვილმა და ბარბარე ზარნაძემ, ხოლო პატარებმა პატარების II თანრიგოსანთა შორის მესამე ადგილი მარიამ დოლაკიძემ და ლილე ბოჭორიშვილმა დაიკავეს.

5-7 დეკემბერს თერჯოლაში გაიმართება ტურნირი აერობიკაში საქართველოს პირველობაზე თერჯოლელი სპორტსმენები ინტენსიურად ვარჯიშობენ და ემზადებიან საუკეთესო შედეგებისათვის, ტურნირამდე სულ რამდენიმე დღე დარჩა, როგორც მწვრთნელი ლალი დიაკონიძე აანონსებს „თერჯოლასთან“ საუბარში, თავს ნამდვილად არ შეირცხვენენ, პირიქით ასახელებენ თერჯოლას... ეს ყველაფერი კი მწვრთნელის ლალი დიაკონიძის, აღსაზრდელებისა და მათი მშობლების დამსახურებაა, რა თქმა უნდა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად.

***

ლალი დიაკონიძე ქუთაისში დაიბადა, 7 წლისამ, კი 1980 წელს უკვე სპორტული ცხოვრება დაიწყო. ვარჯიშობდა ქუთაისის ტანვარჯიშის სპორტსკოლაში აკრობატიკის განყოფილებაში. იგი მრავალგზის საქართველოს ჩემპიონი და საბჭოთა კავშირის პრიზიორია. 1987 წლიდან კი საერთაშორისო კლასის ოსტატია აკრობატიკაში.

სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში გააგრძელა ფიზ-აღზრდის პედაგოგის სპეციალობით. წლების განმავლობაში მუშაობდა ქუთაისის ტანვარჯიშის სპორტულ სკოლაში აკრობატიკის მწვრთნელად, სადაც აღზარდა მრავალი სპორტსმენი, მუშაობდა აგრეთვე ქუთაისის სპორტულ ლიცეუმში ტანვარჯიშის მიმართულებით. დაოჯახების გამო ცხოვრება თერჯოლის რაიონის სოფელ ალისუბანში გააგრძელა. ჰყავს მეუღლე და ერთი ქალიშვილი.

ლალი დიაკონიძეს სპორტის სიყვარული და ამ სფეროში საქმიანობა მოთხოვნილებად ექცა და რაიონის ხელმძღვანელთა მხარდაჭერით და ხელშეწყობით მუშაობა დაიწყო სპორტულ-გამაჯანსაღებელ სკოლაში ტანვარჯიშის ჯგუფის მწვრთნელად. პარალელურად მუშაობს ალისუბნის საჯარო სკოლის სპორტის მასწავლებლად. მის სახელს უკავშირდება სწორედ ამ სექციის დაარსება თერჯოლაში, რასაც თერჯოლელი ახალგაზრდების სიხარული და დაინტერესება მოჰყვა. ტანვარჯიშის ჯგუფი ყოველთვის დატვირთული იყო სპორტის ამ სახეობის მოყვარული ახალგაზრდებით, ასეა დღემდე. ისიც დიდი მონდომებით და მოტივაციით მუშაობდა აღსაზრდელებთან. მალე ტანვარჯიშის ფედერაციამ დიდი სიხარულით მიიღო თერჯოლელ ტანმოვარჯიშეთა ენთუზიაზმი, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა მწვრთნელი და მისი აღსაზრდელები. მის მრავალ მოსწავლეთა შორის არიან მოწინავე სპორტსმენები, რომლებიც რაიონის სახელით ჩართულნი არიან საქართველოს სხვადასხვა ტურნირებში. აქაური სპორტსმენები მონაწილეობას იღებენ საქართველოს პირველობებსა და ჩემპიონატებში, სადაც საუკეთესო შედეგებს დებენ. გვყავს საქართველოს ჩემპიონებიც.

ლალი დიაკონიძის აღზრდილი სპორტსმენები მონაწილეობას იღებენ არა მხოლოდ საქართველოს, არამედ საერთაშორისო ტურნირებშიც. ამჟამად ჩვენი სპორტსმენი ნიკა ბუცხრიკიძე ემზადება პოლონეთში გასამგზავრებლად საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს ნაკრებთან ერთად.

ქალბატონი ლალი თავის მოსწავლეებთან ერთად არ კმაყოფილდება მიღწეულით და ცდილობს თავისი პროფესიიდან გამომდინარე განვითარება გააგრძელოს. იგი არის ეროვნული კატეგორიის მსაჯი, რაც მის მოსწავლეებთან მუშაობაში დიდ როლს ასრულებს.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, თერჯოლაში სპორტული აკრობატიკის ჯგუფის არსებობა და ნაყოფიერი მუშაობა საუკეთესო შესაძლებლობას აძლევს აქაურ ახალგაზრდებს სპორტის ამ სახეობის დაუფლებით დაიხვეწონ, გაილამაზონ და გაიკაჟონ ორგანიზმი, ამასთან გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები სხვადასხვა ტურნირებში მონაწილეობით.

მზია ცქიფურიშვილი

გოჩა ჩაფიძის წარმატება

ქ. თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი კარატეში, სადაც მონაწილეობას ღებულობდა შვიდი ქვეყანა 800 მდე სპორტსმენი. ტურნირზე წარმატებით გამოვიდა თერჯოლელი სპორტსმენი გოჩა ჩაფიძე (18-20 წლებში -67 კგ), რომელმაც მოიპოვა მეორე ადგილი (მწვრთნელი ირაკლი ღონღაძე).

ვულოცავთ!

თერჯოლელ ახალგაზრდა სპორტსმენთა მორიგი წარმატებები

წარმატებით აგრძელებენ სპორტულ შეჯიბრებებზე გამოსვლას ა(ა)იპ თერჯოლის სპორტული სკოლისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის სპორტსმენები საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ჩატარებულ ღონისძიებებზე.

10-12 ოქტომბერი, ქალაქი ბათუმი. ნოდარ ჯანუყვაძის და ოთარ ბაკურაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი ბ/რ ჭიდაობაში.

გიორგი ნიკოლაძე (41 კგ) პირველი ადგილი.

31 ოქტომბერი-2 ნოემბერი, ქალაქი ლენტეხი. ვასო ონიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში.

საბა ხუჯაძე (27 კგ) პირველი ადგილი.

რეზი ხაჭაპურიძე (27 კგ) მეორე ადგილი.

საბა ცხელიშვილი (60 კგ) მეორე ადგილი.

ნიკოლოზ ბარდაველიძე (50 კგ) მეორე ადგილი.

16-18 ოქტომბერი, ქალაქი თბილისი. საქართველოს სარეიტინგო ჩემპიონატი ჭიდაობა ძიუდოში.

ზურა ბოჭორიშვილი (40 კგ) მეორე ადგილი.

2-4 ნოემბერი, ქალაქი ბათუმი. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, ლევან შანიძის რესპუბლიკური ტურნირი ბ/რ ჭიდაობაში.

ლუკა ბუიღლიშვილი (80 კგ) პირველი ადგილი.

გიორგი ჩოგოვაძე (68 კგ) მესამე ადგილი.

გაბრიელ ნიკოლაძე (44 კგ) მესამე ადგილი.

4-5 ნოემბერი, ქალაქი ქუთაისი. საქართველოს ჩემპიონატი ალპაგუტში.

ზურა ბოჭორიშვილი (40 კგ) პირველი ადგილი.

საბა სულამანიძე (60 კგ) მეორე ადგილი.

თემური ბუცხრიკიძე (55 კგ) მეორე ადგილი.

ლუკა კირკიტაძე (72 კგ) მეორე ადგილი.

დათო ხუჯაძე (75 კგ) მეორე ადგილი.

გიორგი ლომიტაშვილი (65 კგ) მეორე ადგილი.

სერგი ლილუაშვილი (72 კგ) მესამე ადგილი.

ამირან ხუჯაძე (65 კგ) მესამე ადგილი.

ლუკა სოფრომაძე (60 კგ) მესამე ადგილი.

7-8 ნოემბერი, ქალაქი ხობი. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, რომან მარგოშიას სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ძიუდოში.

ნიკოლოზ ცხელიშვილი (55 კგ) მეორე ადგილი.

ნიკოლოზ ბარდაველიძე (50 კგ) მეორე ადგილი.

გიორგი გურული (45 კგ) მესამე ადგილი.

8 ნოემბერი, ქალაქი ფოთი. ფოთის ღია პირველობა აღმოსავლეთ ორთაბრძოლებში (კიკ ბოქსინგი).

ილია გამსახურდაშვილი (75 კგ) პირველი ადგილი.

7-9 ნოემბერი, ქალაქი ბაღდათი. გიორგი ბოგდანოვსკის და გურამ გობეჯიშვილის ხსოვნის რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში.

ლილიანი ტყავაძე (30 კგ) მესამე ადგილი.

ტაისია ტყავაძე (50 კგ) მესამე ადგილი.

15-16 ნოემბერი, ქ. ზუგდიდი. „ცოტნე დადიანის თასი 2025“ ჭიდაობა ძიუდოში.

ზურა ბოჭორიშვილი (42 კგ) პირველი ადგილი.

ნიკა ცხელიშვილი (55 კგ) მესამე ადგილი.

გუნდები შეჯიბრებისთვის მოამზადეს: გიგა ჩაფიძემ, ლერი რობაქიძემ, ლერი ჯიხვაშვილმა, ონისე ბოჭორიშვილმა, მალხაზი თურქაძემ, ზურაბ გავაშელაშვილმა, ნოდარ გიორგაძემ, თამარ ხოჯაშვილმა.

წარმატებები ჩვენს ახალგაზრდა სპორტსმენებს და მათ მწვრთნელ-აღმზრდელებს.

ელგუჯა გოგბერაშვილი,
სპორტული სკოლის მთავარი სპეციალისტი

გაზეთ „თერჯოლის“ რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ციცო პაპიძეს და ვალერიან გოგიაშვილს ბიძის

შალვა პაპიძის

გარდაცვალების გამო.

სამხატვრო სკოლის ნიჭიერი თაობის საშემოდგომო გამოფენა

1☜

ახალი, 2025-2026 სასწავლო წლის პირველი გამოფენა თერჯოლის სამხატვრო სკოლამ მოსწავლეთა უპრეცედენტო რაოდენობით, მრავალფეროვანი ნამუშევრებით დატვირთული საგამოფენო სივრცით, დამთვალიერებელთა სიმრავლითა და საზეიმო განწყობით გახსნა.

საზეიმო ღონისძიებას

სკოლის აღსაზრდელებთან, მათ მშობლებთან და გულშემატკივრებთან ერთად შეუერთდნენ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელები, ბატონი მანუჩარ რობაქიძე და სოსო ჩაფიჩაძე, მერის მოადგილეები: ზვიად ბაზაძე და მირზა ქოჩიაშვილი, მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, მაკა ასათიანი, საკრებულოს ახლადარჩეული წევრი, კულტურისა და განათლების კომისიის თავმჯდომარე, ნინო ოქრუაძე, საჯარო სამსახურის და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები...

სკოლის დირექტორი, ქალბატონი თამარ ღარიბაშვილი მადლიერებით მიესალმა სტუმრებს, მოსწავლეებს, მათ მშობლებს, შეკრებილ საზოგადოებას და სიხარულით აღნიშნა, რომ სამ ათეულ წელზე მეტია რაც ამ სკოლის დირექტორია და რომ ყოველწლიურად უფრო და უფრო მეტი ნიჭიერი, შრომისმოყვარე და დაინტერესებული ბავშვი შემოდის სკოლაში, ისევ გაოცებულია მათი უნარით და შესაძლებლობებით. თითოეულმა შეძლო მოცემული დავალება აკადემიური ნორმების დაცვით ზედმეტ-ნაკლებად წარმატებით შეესრულებია.

გამოფენის მონაწილეთა შორის არიან როგორც წინა წლების უკვე „სტაჟიანი“ მოსწავლეები, არიან ისინიც, რომლებმაც სულ რაღაც ორი თვეა რაც სწავლა დაიწყეს.

„დღეისათვის სკოლაში 120 მოსწავლე სწავლობს, მათ შორის ორი ვაჟი ზესტაფონიდან შემოგვიერთდა, რომლებიც ახერხებენ კვირაში ორჯერ ჩვენთან გაკვეთილებს დაესწრონ და იმუშაონ.

სკოლაში ყველა პირობაა ნიჭიერ ბავშვთა სწავლისა და ხელშეწყობისათვის, ნიჭიერი ბავშვები კი ნამდვილად გამოულეველია და ჩვენი სკოლა, პედაგოგები ამას მივესალმებით... მადლობა თერჯოლას, მადლობა თერჯოლის ხელისუფლების წარმომადგენლებს, მერიას, საკრებულოს, რომლებიც მუდამ ჩვენს გვერდით არიან და ყოველგვარ პირობას გვიქმნიან, ჩვენც და სკოლის მოსწავლეებსაც. მიუხედავად მრავალრიცხოვნებისა, ჩვენ ხატვით დაინტერესებულ ბავშვებს, რომელთა ასაკი აკმაყოფილებს მოთხოვნას უარს არ ვეუბნებით, თუმცა ამით გარკვეულ სირთულეებს ვაწყდებით.

მინდა ვუთხრა მშობლებს: ყველა ბავშვი ვინც სისტემატიურად ივლის, იმუშავებს, გაივლის სრულ პროგრამას მიიღებს სკოლის დამთავრების მოწმობას, წინააღმდეგ შემთხვევაში სკოლიდან გავა მოწმობის გარეშე. ჩვენ ბავშვი უნდა შევაფასოთ იმის მიხედვით, რას და როგორ აკეთებს ის ჩვენი მეთვალყურეობის პირობებში და არა სახლში შესრულებული ნამუშევრებით“...

სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა საშემოდგომო გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრების თაობაზე თავიანთი აზრი გამოთქვეს და ეს მნიშვნელოვანი საზეიმო დღე თითოეულ აღსაზრდელსა და პედაგოგს მიულოცეს: საკრებულოს დეპუტატმა ნინო ოქრუაძემ, სამხატვრო სკოლის პედაგოგმა ნინო ჩხიკვაძემ. მამა ანდრიამ (ყიფიანმა) დალოცა მოსწავლეები, პედაგოგები, შეკრებილი საზოგადოება და აღნიშნა, რომ ის როგორც ერთ-ერთი მშობელი და თერჯოლელი ამაყია და მადლიერი, რომ ახალგაზრდებს აქვთ ბედნიერება და შესაძლებლობა იყვნენ ასეთი წარმატებული სკოლის აღსაზრდელები.

მანუჩარ რობაქიძე, მუნიციპალიტეტის მერი: **„მოგესალმებით ბავშვებო, მშობლებო, პედაგოგებო, მოგესალმებით მამაო და მოგესალმებით თითოეულს, ვინც სამხატვრო სკოლის ამ მნიშვნელოვან ღონისძიებას შემოუერთდა.**

ძალიან მიხარია და ბედნიერი ვარ, რომ ხშირად ხდება ამ საოცრად ლამაზ სივრცეში ახალ-ახალი გამოფენების მოწყობა და ყოველთვის მოხიბლული ვარ ნორჩი ხელოვანი გოგო-ბიჭების ნიჭიერებით და მათი ნამუშევრებით. ხატვა ადვილი ნამდვილად არ არის, მიცდია რამდენჯერმე, თუმცა არაფერი გამომსვლია, მას ნამდვილად სხვა ნიჭი და უნარი სჭირდება. ამიტომ მივესალმები თითოეულის ნიჭიერებას და მიმაჩნია, რომ მათ ესაჭიროებათ

ხელშეწყობა, რათა განვითარდნენ და მიიღონ სათანადო ცოდნა ხატვის ხელოვნების უკეთ დაუფლებისა და ამ დარგში თავის დასამკვიდრებლად, ვინც ამ დარგს აირჩევს სამომავლოდ.

ეს სკოლა, მისი დირექტორი ქალბატონი თამარი და პედაგოგები არიან მოწოდებულნი პროფესიულ დონეზე წარმართონ „ნორჩ მხატვრებთან“ მუშაობა... და ეს შედეგებშიც აისახება. აისახება იმაშიც, რომ სკოლა პოპულარულია და მასში ჩარიცხულ მოსწავლეთა უპრეცედენტო რაოდენობა სწორედ ამის შედეგია. ამის შედეგია ზესტაფონიდან სასწავლებლად გადმოსული მოსწავლეებიც.

ეს არის დასტური იმისაც, რომ სკოლა ერთ-ერთი წარმატებულია ქვეყნის მასშტაბით და ჩვენ ეს, რა თქმა უნდა, გვიხარია და ამავდროულად პასუხისგებლობასაც გვიზრდის.

გარდა სწავლისა აქ სხვა ურთიერთობებია, ოჯახური გარემო, წესრიგი, თბილი, თავისუფალი ატმოსფერო, რაც ასე იზიდავს ჩვენს ახალგაზრდებს. დასანანია, რომ ბავშვები ცენტრიდან დაცილებული სოფლებიდან ძნელად ახერხებენ სკოლის მუშაობაში ჩაბმას.

ბევრი წარმატებული და ნიჭიერი ახალგაზრდა ჰყავს ჩვენს პატარა რაიონს, რაც სიამაყეს გვანიჭებს, ამ სკოლისა და ნიჭიერი ახალგაზრდების თანადგომა რაიონის ხელმძღვანელებს გვაძლიერებს და გვაძლევს სტიმულს უკეთ ვიღვაწოთ და ყველაფერი გავაკეთოთ თქვენს მხარდასაჭერად, ეს არის ჩვენი ვალდებულება“, აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ფერწერის, გრაფიკის, ნატურმორტისა და აბსტრაქციების ნიმუშები, იყო სიახლეებიც: ასიმეტრიული ორნამენტები, რომელიც თავისებურ ხიბლს სძენდა გამოფენას.

ერთიც უნდა აღინიშნოს. სკოლის პედაგოგები: ნინო ჩხიკვაძე, ეკა რიჟამაძე, თამთა მაჭარაშვილი და დარეჯან გოგბერაშვილი გარდა იმისა, რომ ბავშვებს ასწავლიან და ეხმარებიან პროფესიის დაუფლებაში ძალიან დიდ შრომას დებენ თითოეული გამოფენის მოწყობაში, რაც დიდი შრომატევადი საქმეა. მათზე ნამდვილად ალალია ის სამადლობელი სიტყვები, რომლებიც გამომსვლელებმა სკოლის დირექციისა და პედაგოგების მისამართით გამოთქვეს.

შემდეგ იყო სამახსოვრო სურათებისათვის პოზიორობა, ბავშვების, მშობლების, პედაგოგების ბედნიერი სახეები და სკოლის დირექციის დაპირება ზამთრის გამოფენისათვის მზადების თაობაზე.

მზია ცქიფურიშვილი

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** 599 92 49 75

მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** 599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-ჯ22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:

ჟ. ცხადაძე—558 90 82 55

მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:

ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2

დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:

სახელმწიფო ხაზინა

RESGE22

ანგარიში

8 2633 7499

ს/კ 231948872